დამტკიცებულია შპს ,,სკოლა-გიმნაზია პირველის“
დირექტორის მიერ

2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები

შესავალი

სკოლის, მისია, ხედვა, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით და ხარისის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის შესაბამისად სკოლაში, 20-25ივნისის პერიოდში განხორციელდა 2024-2025 სამოქმედო გეგმის მონიტორინგი. სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელმა პირებმა წარმოადგენეს ანგარიშები მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. ანგარიშის სახით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოხდა დაგეგმილი ამოცანების და აქტივობების შესრულების შემოწმება. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის სხდომაზე შესაბამისი პირების ჩართულობით, თითოეულ აქტივობას მიენიჭა სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“ და საბოლოოდ, გაკეთდა განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი.

სტრატეგიული მიზანი 1. მართვის სისტემების სრულყოფა

ამოცანები	აქტივობები	მონიტორინგის შედეგები			
		შესრულდა	ნაწილობრი შესრულდა	ვერ შესრულდა	შენიშვნა
1.1 სკოლის მართვაში დემოკრატიული პრინციპების დანერგვა და განვითარება	1.1.1 მშობელთა ჩართულობით ღონისძიეების განხორციელება: მშობელთა კმაყოფილების კვლევა, სასკოლო გასვლით ღონისძიებებში შობელთა აქტიური მონაწილეობა				
	1.1.2 მოსწავლეთა თვითმართველობის როლის გაძლიერება სკოლის მართვაში				
1.2 სასკოლის საქმიანობის საჯაროობის უზრუნველყოფაის ინსტრუმენტების დახვეწა	1.2.1 სკოლის ვებ-გვერდის განახლება, სოცილური ქსელის გააქტიურება				
	1.2.2 მოსწავლეთა				

	თვითმართველობის სოციალური ქსელის შექმნა				

სტრატეგიული მიზანი 2. მატერიალური და ციფრული რესურსების სრულყოფა. უსაფრთხო სასკოლო გარემოს განვითარება

ამოცანები	აქტივობები	მონიტორინგის შედეგები			
		შესრულდა	ნაწილობრი შესრულდა	ვერ შესრულდა	შენიშვნა
2.1 ფიზიკურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნა	2.1.1 საგანგებო სიტუაციების გეგმის შესაბამისად, სახანძრო უსაფრთხოების ტრენინგების ჩატარება				
	2.1.2 ტრენინგი ს ჩატარება პერსონალური მონაცემების დაცვაზე				
	2.1.3 შრომის უსაფრთხოების სპეციალიტის მიერ მონიტორინგის განხორციელება და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება				
2.2. სკოლის ინფრასტრუქტურის განახლება	2.2.1სკოლის ესთეტიკური მხარის მოწესრიგება				
	2.2.2 სკოლის ეზოს კეთილმოწყობა				

2.3. სკოლის მართვაში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა და განვითარება	2.3.1 საქმისწარმოების ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის განვითარება				
	2.3.2 ონლაინ კათედრების ფუნქციონირეის გაძლიერება				
	2.3.3 მასწავლებელთა ციფრული პორტფოლიოეის ფუნქიონირება				

სტრატეგიული მიზანი 3. ხარისხის უზრუნველყოფა

ამოცანები	**აქტივობები**	**მონიტორინგის შედეგები**			
		შესრულდა	**ნაწილობრი შესრულდა**	**ვერ შესრულდა**	**შენიშვნა**
3.1 ხარსხის უზრუნევლყოფის პოლიტიკის შემუშავება და განვითარება	3.1.1 ხარისხს უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება.				
	3.1 2 სამოქმედო გეგმის შესაბამისად მონიტორინგის და შეფასების განხორციელება				
3.2 სწავლა-სწავლების ხარისხის მექანიზმების	3..2.1 საგნობრივი სტანდარტების შესაბამისად საგნობრივი კურიკულუმების განახლება				
	3.2.2 სადიაგნოსტიკო წერების და წლირეი				

	გამოცდების ორგანიზება				
	3.2.3 საგაკვეთილო პროცესისი მონიტორინგი				
	3.2.4 მოსწავლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესისი განხორციელება				

სტრატეგიული მიზანი 4. საკადრო პოტენციალის უზრუნველყოფა

ამოცანები	**აქტივობები**	**მონიტორინგის შედეგები**			
		შესრულდა	**ნაწილობრი შესრულდა**	**ვერ შესრულდა**	**შენიშვნა**
4..1.ადამინური რესურსების პოლიტიკის შემუშავება. მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა, განვითარება და შენარჩუნება	4.1.1. კვალიფიციური აკადემიური კადრების მოზიდვის მიზნით კონკურსის ჩატარება				
	4.1.2 მასწავლებლების პროფესიული განვითარებისთვის ტერეინინგების ჩატარება				
	4.1.3 საჭიროების მიხედვით ადმინისტრაციული პესონალის გადამზადება				
4.2.**ადამინური რესურსების მამოტივირებული ბერკეტების**	ფულადი პრემიების გაცემა სასკოლო ღონისძიებების				

გაძლიერება	განხორციელების თვსი				
	მადლობის , სიგელის გაცემა სასკოლო ცხოვრებაში აქტიური ჩართულობისთვის ,				

სტრატეგიული მიზანი 5. არაფორმალური განათლების გაძლიერება.

ამოცანები	**აქტივობები**	**მონიტორინგის შედეგები**			
		შესრულდა	**ნაწილობრი შესრულდა**	**ვერ შესრულდა**	**შენიშვნა**
5.1 **დამატებითი სერვისების განვითრება**	5.1.1 მოსწავლეთა ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით კლუბების ჩამოყალიბება				
	5.1.2 ესგ-ს პროირიტეტული თემების გათვალსწნებით სასკლო პროექტის დაგემვა და გამხორციელება				
	5.1.3 დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის დამატებითი სევისების შეთავაზე				
5.2.მოსწავლეთა პროფორიენტაციის და კარიერული განვითარების	5..2.1 პროფორიენტაციის და კარიერული პროგრამის განახლება				

	5.2.2 სადამრიგებლო პროგრამების ფარგლებში პრეფორენტაციის აქტივობების დაგეგვა და განხორციელება				

2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

შპს სკოლა-გიმნაზია პირველი

სტრატეგიული მიზანი 1. მართვის სისტემების სრულყოფა

აღნიშნული სტრატეგიული მიზნის შესრულებისთვის განსაზღვრულია ორი ამოცანა:

ამოცანა 1.1.სკოლის მართვაში დემოკრატიული პრინციპების დანერგვა და განვითარების ფარგლებში დაგეგმილი იყო ორი აქტივობა:

1.1.1 მშობელთა ჩართულობით ღონისძიეების განხორციელება: მშობელთა კმაყოფილების კვლევა, სასკოლო გასვლით ღონისძიებებში მშობელთა აქტიური მონაწილეობა. წარმოდგენილი მასალებისა და ანგარიშების საფუძველზე შეიძლება ითვას, რომ აღნიშნული აეტივობა შესრულებულია. მშობელთა ჩართულობა, აქტიურობა და მხარდაჭერა მნისვნელოვანი იყო ისეთი ღონიძიებების განხორციელეაში, როგორიცაა ლევილის მამაულის და ტაო-კლარჯეთის მონახულება. განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევიან დაწყებითო საფეხურის მშობლები, რაც თვალსაჩინოა დაწყებით საფეხურზე განხორციელებული ღონისძიებებით და სასწავლო ექსკურსიებით. მშობლები კმაყოფილები არისნ სასწავლო პროცესით, მოსწონთ მასწავლებლების ყურადღება და სწავლის მეთოდები, ასევე კმაყოფილები არიან დამრიგებლის მუშაობითაც, რამდენადაც სწაფად აწვდიან ინფორმაციის

მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა დისციპლინის შესახებ. მშობელებმა ყრადღება გაამახვილეს სატრანსპორტო მომსახურეობაზე, მათი სურვილია სატრატსპორტო სერვისის გაუმჯობბესება, რამდენადაც ხშირად არის დაგვიანების შემთხვევევბი.

1.1.2 მოსწავლეთა თვითმართველობის როლის გაძლიერება სკოლის მართვაში

2024-2025 სასწავლო წელს თვითმართველობის მუშაობა არ იყო დამაკმაყოფილებელი, ინიცატივები არ მოდიოდა მათგან. ძირითადად სკოლის დირექციის მიერ დაგეგმილ და ინიცირებულ აქტივობებში მონაწილეობდნენ.

ამოცანა 1.2 სასკოლის საქმიანობის საჯაროობის უზრუნველყოფვაის ინსტრუმენტების დახვეწა

აღნიშნული ამოცანის გადასაწყვეტად დაგეგმილი იყო ორი აქტივობის შესრულება

12.1 სკოლის ვებ-გვერდის განახლება, სოცილური ქსელის გააქტიურება.

აქტივობის ფარგლებში სკოლის ვებგვერდი და სოციალურ ქსელი გააქტიურებულია სასკოლო ცხოვრების ასახველი მასალების გამოქვეყნებით, თუმცა ჩასანაცვლებელის სკოლის დოკუმენტაცია, რამენადაც სკოლას აქვს განახლებული სასკოლო დოკუენტაცია.

1.2.2 მოსწავლეთა თვითმართვეელობის სოციალური ქსელის შექმნა

აქტივობა არ განხორციელებულა

სტრატეგიული მიზანი 2. მატერიალური და ციფრული რესურსების სრულყოფა. უსაფრთხო სასკოლო გარემოს განვითარება

აღნიშნული სტრატეგიული მიზნის შესრულებისთვის განსაზღვრულია 3 ამოცანა:

ამოცანა2.1 ფიზიკურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნა

აღნიშნული ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი იყო შემდეგი ატივობები:

2.1.1საგანგებო სიტუაციების გეგმის შესაბამისად, სახანძრო უსაფრთხოების ტრენინგების ჩატარება, რომელიც მიმდინარე წელს არ ჩატარებულა.

2.1.2 ტრენინგი ს ჩატარება პერსონალური მონაცემების დაცვაზე.- სკოლას ფყავს პერსონაურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელმაც მიმიდინარე წელს შეიმუშავა პერსონალური მოაცემების დაცვის მარეგულირებელი რიგი დოკუმნეტები, ასევ ცაატარა ტრეინინგები, განსაკუტრებით მნისვნელოვანი იყო მოსწავლეებთან შეხვედრა, რა დროსაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ისეთი საკიტხების განხილვა ,როგორიცაა სოც. ქსელებში ინფორმაციის გავრცელების დროს პერსონალური მონაცემების დაცვა, ასევე ვიდეოგადაღების დროს რა

სამართლებრივ შედეგეი შეიძლება მოჰყვეს არასაურველი და თანხმობის გარეშე გავრცელებულ ფოტო ან ვიდეო მასალას.

2.1.3 შრომის უსაფრთხოების სპეციალიტის მიერ მონიტორინგის განხორციელება და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, აღნიშნული აქტივობის ფარგლებში, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის რეკომენდაციის საფიძველზე განხორციელდა ელ. გაყვანილობების განახლება. სკოლას მომსახურეობის ხელშეკრულება აქსვ გაფორმებული სერთიფიცირებული ელ. გაყვანილობის სპეციელისტთან, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ელ. გაყანილობების დათვალიეირბას და საჭირო ღნსძიებების ჩატარებას.

ამოცანა 2.2. სკოლის ინფრასტრუქტურის განახლება, აღნიშნული ამოცანის ფარგლებში დაეგმილი იყო ორი ააქტივობა, **2.2.1 სკოლის ესთეტიკური მხარის მოწესრიგება და 2.2.2 სკოლის ეზოს კეთილმოწყობა**, რომლებიც მიმდინარე წელს ვერ განხორციელდა.

ამოცანა 2.3. სკოლის მართვაში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვა და განვითარება

აღნიშნული ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი იყო შემდეგი ატივობები:

2.3.1 საქმისწარმოების ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის განვითარება, გასული სასწავლო წლის ბოლოს სკოლამ შეისყიდა დოკუმმენტბრუნვის ელ. სისტემა, ხოლო მიმდინარე წელს საქმისწარმოეა აქტიურად მიმდინრეობს ელ. დოკუმენტბრუნვის სისტემით.

2.3.2 ონლაინ კათედრების ფუნქციონირეის გაძლიერება, სკოლას აქვს ონლაინ კათედრები, სადაც აქტიურად იტვირთება, კატედრაზე განხორციელებული აქტივობები, მასალები, რაც ხელს უწყობს კათედრის წევრებს შორის გამოცდილების გაზიარებასა და სწრაფ კომუნიკაციას.

2.3.3 მასწავლებელთა ციფრული პორტფოლიოეის ფუნქიონირება, მიმდინარე წელს სკოლამ გუგლდრაივზე განათავსა სასკოლო დოკუმენტაცია, რაც უზრუნველყოფს სასკოლო დოკუმენტაციის ადვილად ხელმისაწვდომობას სკოლის პერსონალისთვის, მათ შორის თითეული კათედრისთვის შეიქმნა ცალკე საქაღალდე, სადაც უნდა აიტვირთოს შესაბამისი კათედრის მასწავლებლების პორტფოლიოები. ამ ეტაპზე მიმდინარეოს საქაღალდის შევსება, ამიტოვ ვთვლით რომ აქტივობა ნაწილობრივაა შესრულებული

სტრატეგიული მიზანი 3. ხარისხის უზრუნველყოფა

სტრატეგიული მიზნის შესრულებისთვის განსაზღვრულია 2 ამოცანა:

ამოცანა 3.1 ხარსხის უზრუნევლყოფის პოლიტიკის შემუშავება და განვითარება

ამოცანის ფარგლებში დაგეგმილი იყო ორი აქივობის შესრულება, რომლების შესრულდა

3.1.1 ხარისხს უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება.

სასწავლო წლის დასაწყისში განისაზღვრა სკოლაში არსებული იდენტიფიცირებული პროცესების რისკების სისტემა, რომლის საფუძველზე შემუშავდა ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკცდა სკოლის დირექტორის მიერ.

3.1 2 სამოქმედო გეგმის შესაბამისად მონიტორინგის და შეფასების განხოორციელება

ხარისხის შიდა მექანიზმების მუშაობის განსახორციელებლად შეფასდა პროცესების რისკ-ფაქტორები და შემუშავდა სამოქმედო გეგმა. სექტემბერის თვეში მოხდა ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმის გაცნობა სკოლის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისთვის და საგნობრივი კათედრებისთვის.
ხარისხის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ პერიოდში განხორციელდა სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების მონიტორინგი და შეფასება. შედეგები აისხა თითოეული პროცესისთვის შემუშავებული მონიტორინგის და შეფასების ფორმებში.
მონიტორინგის ეტაპისათვის ინფორმაციის შეგროვების ძირითად მეთოდად გამოყენებული იქნება წინასწარ შემუშავებული მიზნობრივი კითხვარები. საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მეთოდოლოგიური დოკუმენტების შესწავლა, სასკოლო გარემოს ვიზუალური დათვალიერება.
სკოლის აკადემიური დირექტორის, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის , მიერ მომზადებული წლიური ანგარიში წარმოადგენს 2024-2025 სასწავლო წლის ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების ანალიზსს.

ამოცანა 3.2 სწავლა-სწავლების ხარისხის მექანიზმების განახლება.

ამოცენის ფარგლებსი დაიგეგმა შემდეგი აქტივობები:

3.2.1 საგნობრივი სტანდარტების შესაბამისად საგნობრივი კურიკულუმების განახლება

გასული სასწავლი წლის კურიკულუმებზე დაყრდნობით, მესამე თაობის ესგ-ს მოთხოვნების გათვალისწინებით, საგნობრივ კათედეზე მოხდა კურიკულუმების განახლება, შემუშავდა საგნობრივი კურიკულუმების ერთიან იფორმა. კათედრებმა იმსჯელეს თემატური ერთეულის დაგეგმვის პროცესში განსახორციელებელ აქტივოებებზე და შუალედური სასწავლო მიზნების ფორმირებაზე. ასევე ძირითად რესურსთან ერთად დამხმარე რესურსების შერჩევაზე/ვალიდაცია.

3.2.2 სადიაგნოსტიკო წერების და წლირუი გამოცდების ორგანიზება

სასწავლო წლის დასაწყისში სასკოლო სასწავლო ეგმით განისაზღვა წლიური გამოცდების ჩატარრება. განისაზღვრა კლასების და საგნები. დირქტორის ბრძანების განისაზღვრა ჩატარების პერიოდი . თითოეული საგნისთვის შემუშავდა საგამოცდო ინსტრულენტები. განსაზღვრულ ვადებში,სსგ-ით გათვალიწინებულ საგნებში ჩატარდა წლიური გამოცდები, მოხდა ნაწერების შეფასება საგნის პედაგოგის მიერ. გამხორცილედა მიღებული შედეგების ანალიზი, ორმელიც გათვალსიწინებული იქნება მომდევნ წლის სწავლა-სწავლების პროცესში. რაც სეეხება სადიაგნოსტიკო წერებგანხოციელდა დაწყებით საფეხურზე ქართულსა და მმატემატიკაში, გამოყენებული იყო G-PriEd-ს ტესტები. გაკეთდა ანალიზი, რომელიც აისახა სპეციალურ ფორმებში.

3.2.3 საგაკვეთილო პროცესისი მონიტორინგი

მიმდინარე წელს განხორციელდა საგაკვეთილო პროცესის მომიტორინგი, ყურადღე გამახვილდა ახალი მასწავლებლის ფაქტორზე. ვერიფიკაციის სამოქმედო გეგმის შესაბამისად განხორციელდა ახალი მასწავლებლის საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, სასწავლო პროცესის შეფასების დროს გათვალსიწინებული იყო ესგ-ს მისია და მიზნები, რომლებიც ფორმულირებულია სასწავლო პროცესის შეფასების კრიტერიუმებად და ინდიკატორებად. საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების შედეგები ასახხულია სასწავო პროცესის შეფასების ფორმაში. გარდა ახალი მასწავლებლის ფაქტორისა, საგკვეთილო პროცესის მონიტორინგი მიმდინარეობდა პერმანენტულად. პედაგოგები საგნის ფარგლებში ახორციელებდნენ პროექტების თუ შემოქმედებითი პროდუქტების პრეზენტაცია, რაც წინასწარ ცნობილი იყო სკოლის ადმინისტრაციისთვის და ესწრება პროექტების/ შემოქმედებითი პროდუქტის წარდგენას.

3.2.4 მოსწავლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესისი განხორციელება

სასწავლო წლის დასაწყისში განისაზღვრა შეფასების რისკების სისტემა, რომლის საფუძველზე შემუშავდა ვერიფიკაციის სამოქმედო გეგმა. გეგმის შესაბამისად განხორციელდა ვერიფიკაციის პროცესი. ვერიფიკაციის შედეგები ასახულია ვერიფიკაციის დასკვნის ფორმებში. მომზადდა ვერიფიკაციის საბოლოო ანგარიში.

სტრატეგიული მიზანი 4. საკადრო პოტენციალის უზრუნველყოფა

სტრატეგიული მიზნის შესრულებისთვის განსაზღვრულია 2 ამოცანა:

ამოცანა 4..1.ადამინური რესურსების პოლიტიკის შემუშავება. მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა, განვითარება და შენარჩუნება

4.1.1. კვალიფიციური აკადემიური კადრების მოზიდვის მიზნით კონკურსის ჩატარება

მიმდინარე წელს, კვალიფიციური კადრების მოზიდვის მიზნით, ვაკანტური ადგილების შესავსებად, სკოლა პერიოდულად აცხადებს **ღია კონკურსს**. დირექტორი ბრძანებით შეიქმნა საკონკურსო და საპრეზენტაციო კომისია, საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათავალისწინებით მასწავლებლის დასაქმების ვებ/გვერდზე გამოქვეყნდა საკონურსო განაცხადი, მოხდა შემოსული გააცხადების განხოლვა/ გადარჩევა. გასაუბრება შერჩეულ აპლიკანტებთან. გასაუბრების შედეგების გათვალსიწინებით მოხდა სასურველის კადრის აყვანა დ ხელშეკრულების გაფორმება. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში დსაქმდა დაწყებბითი საფეხური პედაგოგი (Iკლასი), მათაემატიკის, ისტორიას, ხელოვნების (დაწყებით),მუსიკის, სპორტის, ისტ-ის პედაგოგები. ისტ-ის და სპორტის პედაგოგები სკოლამ ჩართო მასწვლებლის მაძიელის პროგრამაში

4.1.2 მასწავლებლების პროფესიული განვითარებისთვის ტერეინინგების ჩატარება

აღნიშნული აქტივობის ფარგლებში, მიმდომარე წელს მხოლოდ სკოლის ბაზაზე ჩატარდა ტრეინინგება, ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკების შემუშავებასთან და საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოს ფორმირებასტან მიმარტების. რაც შეეხება გარე გარე

პროვაიდერის მიერ ტრეინინგების ჩატარებას არ განხორციელებულა, ამდენად აღნიშნული აქტივობა შესრულდა ნაწილობრივ

4.1.3 საჭიროების მიხედვით ადმინისტრაციული პესონალის გადამზადებ

მიმდინარე სასწავლო წელს გადამზადდა სკოლის ბლიოთეკარი.

ამოცანა 4.2.ადამინური რესურსების მამოტივირებული ბერკეტების გაძლიერება

4.2.1 ფულადი პრემიების გაცემა სასკოლო ღონისძიებების განხორციელებისთვსი

სკოლა შესაძლებლობების ფარგლებში ცდილობს არ დატოვოს უყურადღებოდ პერსონალის მუშაობა, მათი დამსახურება სასკოლო ცხოვრების გამრავალფეროვნებაში. მიმდინარე სასწავლო წელს საახალწლო ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობისთვის ფულადი პრიზით დაჯილდოვნა მუსიკის მასწავლებელი. სასწავლო წლის ბოლოს კი ხელოვნების პედაგოგი, რომელმაც ღირსებულად დაიმსახურა ფულადი პრემია, განხორციელებული პროექტებისა და მრავალფეროვანი გასვლით გაკვეთლების ორგანიზებისთვის.

4.2.2 მადლობის , სიგელის გაცემა სასკოლო ცხოვრებაში აქტიური ჩართულობისთვის.

2024-2025 სასწავლო წლის ბოლო პედსაბჭოს სხდომაზე, სკოლის ადმინიტრაციამ მადლობა გამოუცხადა სკოლს პედაგოგებს სასწავლო წლის წარმატებით განხორციელებისთვის.

სტრატეგული მიზანი 5. არაფორმალური განათლების გაძლიერება.

სტრატეგიული მიზნის შესრულებისთვის განსაზღვრულია 2 ამოცანა:

ამოცანა 5.1 დამატებითი სერვისების განვითრება

5.1.1 მოსწავლეთა ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით კლუბების ჩამოყალიბება

მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში ჩამოყალიბდა ჭადრაკის წრე. რომლის მუაობბა საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. ჭადრაკის წრის მოსწავლეებმა მოსწავლეებმა მიიღეს სასკოლო ოლიმპიადაში- ,,ნონა გაფრინდაშვილის თასი“ და საპრიზო მე-2 ადგილი დაიკავეს.

5.1.2 ესგ-ს პროირიტეტული თემების გათვალსწნებით სასკლო პროექტის დაგემვა და გამხორციელება

2024-2025 სასწავლო წელს ესგ-ით განსაზღვრული პრიორიტეტული თემების ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა სასკოლო პროექტი-,, წინაპარა ნაკვალევზე“, რომლის ფარგლებშიც, მოსწავლეებმა მოინახულეს ლევილის მამული, სადაც ჩატარდა შემეცნებითი

კონფერენცია, იმყოფებბოდნენ ტაო კლარჯეთში, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებბმა, ხელოვნების წრის გაკვეთილებზე შექმნეს ნიკო ნიკოლაძის არქიტექტურით მაკეტი, ჩატარდა საშემოდგომო გამოფენა-საქართველოს ეთნოგრაფიული კუთხეები, ანხორციელდა პროექტი, ქართველი მხატვრები პარიზში და ძველი ქართლი ტაძრები ქვეყნის გარეთ. წლის ბოლოს განხორციელდა აღნიშნული პროექტის ანგარიშის წარდგენა სასკოლო საზოგადოების წინაში.

5.1.3 დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის დამატებითი სერვისების შეთავაზე.

მიმდინარე სასწავლო წელს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა როგორც სასკოლო ექსვკურისიაების ასევე გასვლითი გაკვეთილები. დაწყებით საფეხურზე წარმატებით ხორციელდება ფსიქოლოგის საათი. 2024-2025 სასწავლო წელს სკოლას დაგეგმილი ჰქონდა გარე ორგანიზაციებიდან მიეღო შესაბამისი მომსახურეობა, თუმცა ვერ იქნა რეალიზებული ამიტომ ვთვლით რომ აღნიშნული აქტივობა დაგეგმისლის შესაბამისად ვერ შესრულდა.

ამოცანა 5.2. მოსწავლეთა პროფორიენტაციის და კარიერული განვითარების დანერგვა და განვითარება.

5..2.1 პროფორიენტაციის და კარიერული პროგრამის განახლება

გასულ სასწავლო წელს სკოლამ შეიმუშავა ,პიროვნული ზრდის და კარიერული დაგეგმვის პროგრამა", რომელიც განხორციელდა საშუალი საფეხურზე. პროგრამამ დიდი ინტერესი გამოიწვია მოსწავლეებში, სიამოვნებით ასრულებდნენ პრაქტიკულ დავალეები. შეისწავლეს CV წერა. 2024-2025 წელს პროგრამის განახლება არ მომხდრა. პროფპრიენტაციის მიმსართულებით სკოლაში მოწვეული იყო კავკასიის უნივერსიტეტის წარმოადგენელი, რომელმა სასაუალო საფეხურის მოსწავლეებს გააცნო უნივერსიტეტის პროგრამები და დასაქმების ბაზარზე არსებული პროგრამეის უპირატესობები.

5.2.2 სადამრიგებლო პროგრამების ფარგლებში პრფორენტაციის აქტივობების დაგეგვა და განხორციელება.

სადამრიგებლო პროგამის ფარგლებში დაგეგმილი იყო პროფესიების გაცნობის აქტივობები და შესაბამისი გასვლით ღონისძიებები. მიმდინარე სასწავლო წელს დაწყებით საფეხურის მოსწავლეების სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში იმყოფებოდნენ მაკდონალდში. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს ამ მიმართულებით გასვლით ღნისძიებები არ განუხორციელებიაათ.

დაგეგმილი აქტივობების რაოდენობა	სრულად შესრულებული აქტივობების როდენობა	ნაწილობრივ შესრულებული აქტივობების რაოდენობა	შეუსრულეებლი აქტივობების რაოდენობა
28	17	6	5
100%	60,7%	21.4%	17.8%

მოცემული მონაცემთა ანალიზით ნათლად ჩანს, რომ სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების უმეტესობა(60.7%) სრულად შესრულდა , ასევე გარკვეული აქტივობების ნაწილი (21.4%) ნაწილობრიც, რაც გვაძლევს საშუალებას 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა დადებითად შეფასდეს.

პრობლემა	**პრობლემის აღწერა სათანადო მაგალითებით**	**იდენტიფიცირებული პრობლემის მნიშვნელობა**
მოსწავლეთა თვითმართველობის როლის გაძლიერება სკოლის მართვაში	2024-2025 სასწავლო წელს თვითმართველობის მუშაობა არ იყო დამაკმაყოფილებელი, ინიცატივები არ მოდიოდა მათგან. ძირითადად სკოლის დირექციის მიერ დაგეგმილ და ინიცირებულ აქტივობებში მონაწილეობდნენ. **შესსრულების მაჩვენებელი 0%**	**მნიშვნელოვანი აქტივობაა და კვლავ აქტუალურია**
სკოლის ვებ-გვერდის განახლება, სოცილური ქსელის გააქტიურება	აქტივობის ფარგლებში სკოლის ვებგვერდი და სოციალურ ქსელი გააქტიურებულია სასკოლო ცხოვრების ასახველი მასალების გამოქვეყნებით, თუმცა ჩასანაცვლებელის სკოლის დოკუმენტაცია, რამენადაც სკოლას აქვს განახლებული სასკოლო დოკუენტაცია. **შესრულების მაჩვენებელი 50%**	ძალიან მნიშვნელოვანი ატივობაა ავტორიზაციის სტანდარტების დასაკმაყოფილებლად. სკოლას აქვს ყველა მრეგულირებელი დოკუმენტი, რაც უნდა გამოქვეყნდეს სკოლის ვებგვერდზე
მოსწავლეთა თვითმართვეელობის სოციალური ქსელის შექმნა	2024-2025 სასწავლო წელსთვითმართველობბა არ შექმნა სოციალური ქსელი **შესრულების მაჩვენებელი 0%**	მოსწავლეთა თვითმართმართველობა მნიშვნელოანია სასკოლო ცხოვრებაში, რაც შეეხება აქტივობას არ არის

		გადამწყვეტი, თვითმართველობის მუშაობისთვის, თუმცა სასურველია თვიითმართვლეობას ჰქონდეს საკომუნიკაცია არხი სოციალური ქსელის სახით. აღნიშნული საკითხის კვლავ მოხვდება 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში.
საგანგებო სიტუაციების გეგმის შესაბამისად, სახანძრო უსაფრთხოების ტრენინგების ჩატარება	აღნიშნული მიმართულებით მიმდინარე წელს სწავლება არ განხორციელებულა **შესრულების მაჩვენებელი 0%**	მნიშვნელოვანი აქტივობაა, რომელიც გასულ წელს განხორციელდა. ისევ გაიწერება 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმაში
სკოლის ესთეტიკური მხარის მოწესრიგება	**შესრულების მაჩვენებელი 0%**	ვთვლით, რომ სკოლის შიდა ინტერიერი ყოველ წელს საჭიროებას განახლებას, ამიტომ გაიწერება 2025-2026 სამოქედო გეგმაში .
სკოლის ეზოს კეთილმოწყობა	**შესრულების მაჩვენებელი 0%**	სკოლას აქვს პატარა შიდა ეზო, რომელიც ამინდის შესაბამისად აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა სასკოლო აქტივბებისთვის, ასევე გახანგრძლივებული სწავლების ფარგლებში. მნიშვნელოვანია ეზოს ინტერიების განახლება, გათვალისწინებული იქნბა მომდევნო წლის სამოქმედო გეგმაში
მასწავლებელთა ციფრული პორტფოლიოეის ფუნქიონირება	მიმდინარე წელს სკოლამ გუგლდრაივიზე განათავსა სასკოლო დოკუმენტაცია, რაც უზრუნველყოფს სასკოლო დოკუმენტაციის ადვილად ხელმისაწვდომობას სკოლის პერსონალისთვის, მათ შორის თითეული კათედრისთვის შეიქმნა ცალკე საქაღალდე, სადაც უნდა აიტვირთოს შესაბამისი კათედრის მასწავლებლების პორტფოლიოები. ამ ეტაპზე მიმდინარეოს საქაღალდის შევსება, ამიტოვ ვთვლით რომ აქტივობა ნაწილობრივაა შესრულებული **შესრულების მაჩვენებელი 50%**	აღნიშნული აქტოვობა მმნიშვლელოვანია, ისევ გათვალსიწინებული იქნება 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში

მასწავლებლების პროფესიული განვითარებისთვის ტერეინინგების ჩატარება	აღნიშნული აქტივობის ფარგლებში, მიმდომარე წელს მხოლოდ სკოლის ბაზაზე ჩატარდა ტრეინინგება, ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკების შემუშავებასთან და საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოს ფორმირებასტან მიმარტების. რაც შეეხება გარე გარე პროვაიდერის მიერ ტრეინინგების ჩატარებას არ განხორციელებულა, ამდენად აღნიშნული აქტივობა შესრულდა ნაწილობრივ **შესრულების მაჩვენებელი 70%**	აღნიშნული აქტოვობა მმნიშვლელოვანია, ისევ გათვალსიწინებული იქნება 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში
დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის დამატებითი სერვისების შეთავაზე	მიმდინარე სასწავლო წელს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისთვის სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა როგორც სასკოლო ექსკურსიაების ასევე გასვლითი გაკვეთილები. დაწყებით საფეხურზე წარმატებით ხორციელდება ფსიქოლოგის საათი. 2024-2025 სასწავლო წელს სკოლას დაგეგმილი ჰქონდა გარე ორგანიზაციებიდან მიეღო შესაბამისი მომსახურეობა, თუმცა ვერ იქნა რეალიზებული ამიტომ ვთვლით რომ აღნიშნული აქტივობა დაგეგმისლის შესაბამისად ვერ შესრულდა. **შესრულებბის მაჩვენებელი 75%**	აღნიშნული აქტივობა დაიგეგმა, ამოცანა- **დამატებითი სერვისების განვითრების,** ფარგლებში. დამატებითი მომსხურება მნიშვნელოანია მოსწავლეებში სხვადასხვა უნარებისა და კომპეტენციების განვითარებისთვის, რასაც სკოლა მუდმივად იტვალსიწინებს. აღნიშნული აქტივობით განსაზღვრული კონკრეტული მიმართულება, გარე პროვააიდერებისგან მიღებული მომსახურეობა არ არის გადამწყვეტი, დამატებითი სერვისების განითარებისთვის. ვთვლით , რომ აღნიშნული საკითხი არ გაიწეროს 2025-2026 სასწავლო წლის სამოოქმედო გეგმაში და დამატებით სერვისების განვიტარება განხორციელდეს სხვა საკითხებზე დაყრდნობით, რაცევ იმსჯელებს სასკოლო საზოგადოება
პროფორიენტაციის და კარიერული პროგრამის განახლება	გასულ სასწავლო წელს სკოლამ შეიმუშავა ,პიროვნული ზრდის და კარიერული დაგეგმვის პროგრამა", რომელიც განხორციელდა საშუალი საფეხურზე. პროგრამამ დიდი ინტერესი გამოიწვია მოსწავლეებში, სიამოვნებით ასრულებდნენ პრაქტიკულ დავალეები.	პროგრამის განახლება არ განხორციელდა, რამდენადაც წინ წლის ანალიზით მოსწავლეებს მოსწონთ პროგრამის ფარგლებში განხოეციელებული აქტივობები, თუმცა სასურველია, პროგრამის ხელმძღვანელმა უზრუნველყოს თანამედროვე გამოწვევების გათვალსიწინება აღნიშნულ პროგრამაში. ვთვლით, რომ მნიშვნელოვანი აქტივობაა და კვლავ

	შეისწავლეს CV წერა. 2024-2025 წელს პროგრამის განახლება **არ მომხდრა.** პროფპრიენტაციის მიმსართულებით სკოლაში მოწვეული იყო კავკასიის უნივერსიტეტის წარმოადგენელი, რომელმა საშსაუალო საფეხურის მოსწავლეებს გააცნო უნივერსიტეტის პროგრამები და დასაქმების ბაზარზე არსებული პროგრამეის უპირატესობები. **შესრულების მაჩვენებელი 50%**	გაიწერება 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში.
სადამრიგებლო პროგრამების ფარგლებში პრფორენტაციის აქტივობების დაგეგვა და განხორციელება	სადამრიგებლო პროგამის ფარგლებში დაგეგმილი იყო პროფესიების გაცნობის აქტივობები და შესაბამისი გასვლით ღონისძიებები. მიმდინარე სასწავლო წელს დაწყებით საფეხურის მოსწავლეების სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში იმყოფებოდნენ მაკდონალდში. საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს ამ მიმართულებით გასვლით ღნისძიებები არ განუხორციელებიაათ. **შესრულების მაჩვენებელი 30%**	აღნიშნული აქტივობბა განისაზღვრა სტრატეგიული მიზნის **არაფორმალური განათლების გაძლიერების ფარგლებში,** დაგეგმილი აქტივობა სადამრიგებლო პროგრამის ფარგლლებში განხორციელდა მხოლოდ დაწყებით საფეხურზე. ვთვლით რომ მნიშვნელოვანი აქტივობაა და 2025-2026 სასწავლო წლის სმოქმედო გეგმაში კვლავ გაიწერეა

შპს სკოლა გიმნაზია პირველი
2024-2025 სასწავლო წლის შედეგების საფუძველზე გაკეთებული სკოლის SWOT-ანალიზი

S ორგანიზაციის ძლიერი მხარე:	W ორგანიზაციის სუსტი მხარე:
➢ მცირერიცხოვანი კლსები ➢ შეთავაზებული დამატებითი საგანმანაგლებლო მომსახურეობა ➢ ქვეყნის გარეთ გასვლითი პროექტების ორგანიზება ➢ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის დანერგვა	სპორტული ინფრასტრუქტურა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ინფრასტურქტურა
O ორგანიზაციის შესაძლებლობები:	T მოსალოდნელი საფრთხე:
✓ კლუბური მუშაობის გაძლიერება ✓ მოსწავლეთა თვითმართველობის გაძლიერება ✓ მასწავლებელთა პროფესიული მომზადების დონის ამაღლება ✓ კათედრების მუშაობის გაძლიერება	➢ ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები განათლების სისტემაში ➢ კვალიფიციური ადამიანური რესურსის გადინება